



# საგაზეთო

საორტული გაზეთი ორშაბათი 16 ოქტომბერი 2006 №239 (2861)

ფასი 50 თეთრი

## ფიზიკური კოლგით

### არაფერი უცვლილა ტოპიოლერის ბარდა

ბადრი კეთილაძის ფოტო



სამკვირიანი შესვენების შემდეგ განახლებულ ეროვნულ ჩემპიონატს არც ლიდერი შეცვლია, არც ლიდერთა ხუთეული და არც აუტსაიდერთა ჯგუფი. რუსთავის „ოლიმპიკა“ საჩხერეში მორიგი მშრალი მატჩი ჩაატარა, 4:0 აგემა „ჩიხურას“ და გიორგი კინაძის გუნდის ექსპრესვლა უკვე აღარც გვიკვირს. საკმაოხნიანი შესვენების შემდეგ კი კლაუს ტომპოლერიც დავინახეთ საქართველოს ჩემპიონატის მატჩზე. ნაკრების თავკაცი „ამერი“ — „კახეთს“ დაესწრო და ნამატჩვეს ვლდანელთა მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს კარგა ხანს ესაუბრა. რა სჭირს „ვიტ ჯორჯიას“? ბოლო თამაშებში ვიტელები ძალიან აჭრილები ჩანან და ამჯერად ბორჯომში, სკანდალურ მატჩში დაკარგეს ორი ქულა. მომენტოცვენა იყო „მიხეილ მესხზე“, სადაც მეკარეებმა — სოსო გრიშკაშვილმა და დავით გვარამაძემ ნაირ-ნაირი დარტყმულები მოიგერიეს, ერთადერთი გოლი კი დინამოელთა მთავარმა ძალამ, სანდრო იაშვილმა გაიტანა.



ბადრი კეთილაძის ფოტო



**აკა, KAKHA!**

კალაძემ მილანის თავდასხმას ნაბუსი მოსწონდა

### სალიდისგა საქართველო ევროპას ჩამოასილა



ბადრი კეთილაძის ფოტო



ბაღრაძე კატილიანი ფოტოგრაფი



ლევან ყენია (№10) მსაჯის გარდა ვერავინ შეაჩერა



ბაღრაძე კატილიანი ფოტოგრაფი

თორნიკე თარხნიშვილის საბენალტე წაქცევა

# ესაა, სტვენა ვიციო?!

თბილისი. „ეროვნული“. 2 500 მაყურებელი  
საბარტველო 0:1 გერმანია

0:1 ვოლცი (66)

მამუჩაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (76, ძელი)

საბარტველო: მაკარიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, მჭედლიძე (ხოკერაშვილი 48), კალანდია (მამუჩაშვილი 65), თარხნიშვილი, ბერიძე (ჯოხაძე 55), ყენია, სალარიძე, შონია, სორდია.

სათადარიგო: დგებუაძე, ბუკია, ბეგლარიშვილი, მაჭავარიანი

მწვრთნელი: პერბერტ ცანკერი

გერმანია: გიფერი, ევერსი, პაშანი, შტადლერი, ვოლცი, ზაუერბიერი (უნჩი 50), ფუნკი, კროსი, ბიგალკე (ტიეშიერი 80), მაიერი, კნოლი (დოვიდატი 69)

სათადარიგო: ვოლცი, გიოტი, რაუში, ტაპისიერი

მწვრთნელი: პაულ შომანი

გაფრთხილება: ყენია (34), სორდია (44), თარხნიშვილი (60), ყენია (69), ვოლცი (69)

გაძეგება: ყენია (69)

მსაჯეები: ი. ცალიდისი, ს. პანოუ (ორივე საბერძნეთი), ა. ალბერტი, შ. საპი (ორივე უნგრეთი)

ძალიან დაბალი დონის მსაჯი გამოუგზავნია უეფას თბილისში. ზედხედ მეორე მატჩი უმსაჯა ბერძენმა იონანის ცალიდისმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს და... ასეთი და ამდენი შეცდომა ბუნებრივად აჩენს ეჭვს — ცალიდისმა ან მსაჯობა არ იცის, ან რაღაცაშია საქმე.

ცოტა არ იყოს, უხერხულია ორივე წაგებული თამაშის შემდეგ ცუდ მსაჯობაზე წერა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, ქართველ 17-წლამდელთა შეცდომებს ხელს ვაფარებდეთ, მაგრამ დაგვერწმუნეთ — რუსეთთან დანიშნული უამრავი საეჭვო ჯარიმის და მატჩის ბოლოს საეჭვო პენალტის, გერმანიასთან არჩათ-

ლილი ვოლის, გუნდის ლიდერის გაძეგების და სხვა რამდენიმე გაუგებარი გადაწყვეტილების შემდეგ ძალიან ძნელია, სხვაგვარად იფიქრო და ჩათვალო, რომ ეს ყველაფერი მსაჯს, უბრალოდ, შეეშალა.

კარგი გუნდი გაუკეთებია ჰერბერტ ცანკერს. რუსეთთან არწასაგები წაგების შემდეგ ქართველმა 17-წლამდელთა ნაკრებმა გერმანიასთანაც ღირსეულად ითამაშეს და... აბა, ისე უიღბლობაზე როგორ დავიჩივლოთ, მაგრამ... რაც გინდათ, ის დაარქვით: მარტო პირველ ტაიმში ქართველებს ხუთი ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდათ (გერმანელებს არც ერთი), 25-ე წუთზე კი გოლიც შეაგდეს, მაგრამ, რბი-

ლად რომ ვთქვათ, მსაჯებმა ძალიან საეჭვო თამაშაგარეს გამო გააუქმეს.

ჩვენებმა თავიდანვე მწვავედ შეუტოეს მეტოქეს. მართალია, საქართველოს ნაკრებში ერთ-ორ პოზიციაზე აშკარა იყო სისუსტეები, მაგრამ მთლიანობაში გუნდი შეცდომების აღმოფხვრას მაინც ახერხებდა.

ყველაზე მეტ პრობლემას კი გერმანელებს ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე უქმნიდნენ. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ფორვარდები მეტოქისთვის ბოლომდე ამოუცნობნი და შეუჩერებელი გამოდგნენ.

...მჭედლიძემ პირისპირ გასვლით ვერ იხეირა, ბურთთან დიდი დრო გაატარა და ათასპროცენტიანი მომენტი გაანიავა; კალანდიამ საჯარიმოს გარედან ააცილა; გერმანელთა მცველმა მეკარეს უხერხულად დაუბრუნა ბურთი და... სანტიმეტრები „დააკლდა“ ავტოგოლამდე; მჭედლიძე მეკარესთან პირისპირ გავიდა და შორეულ კუთხეში დარტყმული ბურთი ოდნავ ასცადა კარს; ყენიას მაკრატელა მეკარემ საოცარ ნახტომში მოიგვრია... ეს მომენტები ვერ გამოიყენეს ქართველებმა.

და აქვე არჩათვლილ გოლზეც: ლევან მჭედლიძის განივ პასს საჯარიმოში შერბენილმა გიორგი სა-

ლარიძემ დაუხვედრა ფეხი და... მსაჯებზე უკვე ვთქვით...

მეორე ტაიმში გერმანელებმა უხეშობას უმატეს და ერთი ხანობა მათ ქართველებიც აპყვნენ, თუმცა ცანკერმა მალევე დააშოშმინა შეგირდები. თუმც 69-ე წუთზე საქართველო მაინც კაცნაკლული დარჩა — მსაჯი გერმანელთა პროვოკაციას წამოეგო და ყენია გააძევა.

უღიღეროდ დარჩენილ ნაკრებს საქმეს ისიც ურთულდება, რომ მანამდე ტრავმის გამო ლევან მჭედლიძეც შესაცვლელი შეიქნა.

გოლი კი გერმანელებმა კუთხურის შედეგად გაიტანეს — კევენ ვოლცი ყველაზე მაღლა ახტა და თავურით იხეირა — 0:1.

სტუმრებმა ამის შემდეგაც იძალეს და რამდენჯერმე შექმნეს სახიფათო მომენტი, თუმცა ხან გიორგი მაკარიძემ იყოჩაღა, ხან მიზანს ვერ მოარტყეს.

და მაინც: საქართველოს შანსი 76-ე წუთზე მიეცა, როცა თორნიკე თარხნიშვილი ერთბაშად ორმა გერმანელმა მოცულა და პენალტი — გიორგი მამუჩაშვილმა მეკარე კი მოატყუა, მაგრამ ძელს გაარტყა ბურთი...

ეს იყო და ეს. მაკედონისთან მესამე ტურის მატჩმა საქართველოს ნაკრებისთვის აზრი დაკარგა.

ბასა ზალაფერიძე

# საქართველოს წაგებით რუსეთმა გაიხარა

## მაკედონია აშკარად დაბალი დონაა

თბილისი. „მინილ მესხი“. 100 მაყურებელი  
რუსეთი 6:2 მაკედონია

1:0, 2:0 ძაგოვი (12, 27), 3:0 მიაკინინი (40), 3:1 აიეტი (57), 4:1 სმოლოვი (69), 5:1 ვოინოვი (71), 6:1 ძაგოვი (74), 6:2 სტოიანოვი (76)

რუსეთი: მანევი, ვავილჩენოვი (ბურლაკი 47), დმიტრიევი, კამბოლოვი, პერეპელნიკოვი, შიაკინინი, ძაგოვი, ვოინოვი (შუმილინი 74), პეტროვი, ჩეკმაურიოვი, დელკინი (სმოლოვი 49)

სათადარიგო: კობზევი, კოფენიკოვი, კუდრიავცევი, გრიგორევი

მწვრთნელი: ანდრე ტალალაევი

მაკედონია: ივანოვი, ანგელოვსკი, ურდინოვი, სტოიანოვსკი, ცვეტანოვი, გულიანოვსკი (ადემი 41), საბანი, პოპზაფიროვი, ცვეტანოვსკი, (აიეტი 20), გეორგიევი, ტრიფუნოვსკი (სტოიანოვი 59)

სათადარიგო: იასარი, კურტი, კრისტევესკი, პიროვსკი

მწვრთნელი: ზლატკო ცვეტანოვსკი

გაფრთხილება: ურდინოვი (5), გეორგიევი (40), ადემი (55)

მსაჯეები: ტ. ველიგაარდი, მ. მალმბერგი (ორივე დანია), ზ. მენტეშაშვილი, გ. ვადაჭკორია (ორივე საქართველო)

ჰერბერტ ცანკერის გუნდის იმედი მაკედონიელებზე იყო დამოკიდებული. თუ ბალკანელები სლავთა ძლევას მოახერხებდნენ, ქართველებს ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი უჩნდებოდათ, თუმცა მაკედონიელთა გუნდისთვის თამაშმა ყველა იმედი წყალში ჩაყარა — რუსებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრეს მაკედონიელები.

ანდრე ტალალაევის შეგირდებმა ზეწოლა პირველივე წუთებიდან დაიწყეს და თუ საწყის ათ წუთში გოლი ვერ გაიტანეს, მათივე უნიათობის ბრალია. მაკედონიელთა კარში პირველი ბომბი მე-12 წუთზე აფეთქდა — რუსთავან საუკეთესომ, აღან ძაგოევმა მაკედონიელთა რბევას დაუდო სათავე. თხუთმეტიწუთზე წუთში მანვე მეორე გოლი მი-

ითვალა, ხოლო 39-ე წუთზე მიაკინინმა პირველი ტაიმის საბოლოო შედეგი დააფიქსირა — 3:0.

ათეულობით გულშემატკივრით გამზნეებული რუსთა ნაკრები მაკედონიელთა კარზე მეორე ტაიმშიც დაიგემა, თუმცა მეტოქის კონტრშეტევა გაეპარათ და აიეტის დარტყმის შემდეგ სხვაობა ორ ბურთამდე შემცირდა. გაშვებულმა გოლმა ჩრდილოელები კიდევ უფრო გაახელა და მაკედონიელებს ამოსუნთქვის საშუალებას აღარ აძლევდნენ — რუსები გერმანელთა საპირველტურ შედეგის დასამხოზად გაიქანნენ და ბოლო წუთებში ამის რეალური შანსიც მიეცათ — 74-ე წუთზე ფიოდორ სმოლოვმა გოლით დაასრულა მრავალსკიანი კომბინაცია, ძაგოევმა პენალტით

ჰეთ ორიქი გაახერხა, ორიოდ წუთში კი დენის ვოინოვმა რუსთა გოლების რაოდენობა ექვსამდე გაზარდა.

თავდამსხმელთა შედეგიანობით გახარებულ რუს მცველებს შეხვედრის ბოლოს დაბრუნებულ და მარტივ სიტუაციაში დარკო სტოიანოვს ანგარიშის შემცირების საშუალება მისცეს — 6:2.

მატჩის შემდეგ რუსეთის ნაკრები საქართველო — გერმანიის თამაშის საყურებლად გაეშურა და მომდევნო გასვლით იქ გაიხარა.

მიხეილ შორძოლიანი

გერმანია	2	2	0	0	8:1	6
რუსეთი	2	2	0	0	8:3	6
საქართველო	2	0	0	2	1:3	0
მაკედონია	2	0	0	2	3:13	0

თბილისი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. აშპრი. 500 მაყურებელი

ამერი 3:0 კახეთი

ბოლქვაძე (27), 2-ი დოლიძე (81), 3-ი ტატანაშვილი (86)

ამერი: ქვანახია, კველაშვილი (დ. მჭედლიშვილი 56), დავითნიძე, ზვადაგანი (ელბაძე 63), ჩიკვილაძე, დობროვოლსკი, ს. დავითაშვილი, დეკანოზიძე, ბოლქვაძე, სევასტოპოლო (ტატანაშვილი 78), დოლიძე  
სათადარიგო: ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, გაბისკირია, გ. ჯელაძე  
მწვრთნელი: გიორგი ჩხარაძე

კახეთი: ცინაძე, ტარულაშვილი, მალაყელიძე, ლომიძე (ძამუკაშვილი 72), კვიციანი, კობაძე, კველაშვილი, ამირანიძე (იმერლიშვილი 43), ნ. დავითაშვილი, დ. ბურდული, ნუნუაშვილი (ტეტიაშვილი 78)  
სათადარიგო: ქუფარაშვილი, ცისკარიშვილი, ბიძინაშვილი, მურველიშვილი  
მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი

ბაზრისძე: კველაშვილი (1), ჩიკვილაძე (51)

მსაჯები: გ. კიკაჩიშვილი; გ. გაბრიძე, ნ. რუსიშვილი; გ. ელისაბედაშვილი

დამამხრებელი: რ. ტალიაშვილი



გადამხრებელი ფოტო

ამერი 3:0 კახეთი ბოლქვაძე ტოპიოლარი დასჭირდა

კობა ინახარაძე

ორი საინტერესო ამბით დავიწყეთ: შაბათს დავით ბოლქვაძემ თავის ერთწლიან ამერულ კარიერაში პირველი ოფიციალური გოლი გაიტანა. „ამერი“ — „კახეთის“ წვიმიან მატჩს კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპიოლერი, 19-წლამდელთა თავკაცი ჰაინც ტოპიოლერი, მეკარეთა დამრიგებელი მამუკა აბუსერიძე და ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი დაეწინა და ნამატჩვეს „ყვითლების“ მწვრთნელ გიორგი ჩხარაძესთან საუბარსაც შეჰყვნენ. ეროვნული მწვრთნელმა საკლუბო კოლეგას რამდენიმე კითხვა დაუსვა და ჩხარაძის პასუხებიც მოისმინა...

თამაში კი დიდი ვერაფერი სანახაობა გამოდგა. აუტსაიდერთან შეხვედრისას ფავორიტად, რა თქმა უნდა, ლიდერი ითვლებოდა, თუმცა ჩემპიონატში სამკვირიანი შესვენების შემდეგ გუნდები როგორ ფორმაში იქნებოდნენ, ესეც საკითხავი იყო. პაუზის მერე ხომ გუნდებს შესაძლებლობათა მაქსიმუ-

მისა და საუკეთესო თვისებების გამოვლენა უჭირთ ხოლმე და არც ეს მატჩი ყოფილა გამონაკლისი. იყო ძალიან ბევრი უზუსტო პასი, არეულ-დარეული კომბინაციები... თითქოს ფეხბურთელები ერთმანეთთან პირველად თამაშობდნენ. ეს ყოველივე უფრო მასპინძლებზე ითქმის, თორემ ერთქულიანი კახელებისგან სხვას არაფერს ველოდით. პირიქით, მეორე ტაიმის 10-15 წუთი „კახეთმა“ „ამერის“ ნახევარზე გააგორა კიდევ ბურთი და „ყვითლებისთვის“ ერთ-ორ სანერვიულო ეპიზოდსაც გამორჩა. ეპიზოდი ეპიზოდად და, მაშინ, როცა „ამერი“ მინიმალური სხვაობით იგებდა, სტუმრებს საგოლე მომენტი ჰქონდათ, უკეთესს რას ინატრებ: მასპინძლებმა კახა წუწუნავა საჯარიმოში უყურადღებოდ დატოვეს, პარტნიორმა კი მარცხენა ფლანგიდან მას ბურთი თავზე დაასვა. კარამდე სულ ორი-სამი მეტრი იყო, წუწუნავამაც კარგად დაარტყა, მაგრამ ზურაბ ქვანახიამ იმარჯვა, შორეული კუთხისკენ გადახტა და გუნდი გადარჩინა. მოგვიანებით ქვანახიას დავით ბურდულიმაც დაურტყა, სა-

ბიფათოდ და ცოტა უზუსტოდ. იქამდე კი პირველი ტაიმი და დავით ბოლქვაძის ძალიან ლამაზი გოლი იყო — ამერელთა გამთამაშებელმა 20-25 მეტრიდან საჯარიმო დაარტყა და ბურთი კახელთა კარის ცხრიანში ჩაახვია. გავიგეოროთ: დავით ბოლქვაძემ „ამერში“ პირველი ოფიციალური გოლი გაიტანა.

ბოლქვაძეს მეორეს გატანაც შეეძლო, მაგრამ მიზნამდე ერთი მეტაკველი დააკლდა. „ამერის“ კონტრშეტევის ბოლო სწორედ მისი დარტყმული იყო — ბურთი ძელს გარედან გაეხახუნა. ხოლო, ვიდრე „ამერი“ ზედვიდდა ორ გოლს კიდევ გაიტანდა, იმავე ბოლქვაძემ საჯარიმოდან გიორგი ცინაძეს ერთხელაც დაურტყა, ბურთი კედელს შემოეგლო, თუმცა მეკარემ ცხვირწინ ასხლეტილს სწორი პოზიცია შეურჩია და კუთხურზე გადააგლო.

„კახეთმა“ კი, როცა წინ გასწია და ზურგი მოიშვილა, სწორედ მაშინ მიიღო ის ორი გოლიც და დიდი ანგარიშით წააგო. მეორე გოლი კახელებს გრიგოლ დოლიძემ გაუ-

ტანა, როცა სულიყო დავითაშვილის პასი მიიღო, მეკარეს წაძიო დასწრო და ჭეშვით გალაუგლო ბურთი; მესამე კი გიორგი ელბაძის 50-მეტრიან უზუსტეს პასს მოჰყვა, სადღაც თავისი საჯარიმოდან მან მეტოქის საჯარიმოსთან მცველებს შუა „მიართვა“ ბურთი დიმიტრი ტატანაშვილს, ვინც მკერდით გაისწორა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და უნაკლოდაც დაარტყა.

ოლიმპი	8	7	1	0	22:0	22
ამერი	8	7	1	0	16:2	22
ზესტაფონი	8	5	2	1	12:3	17
დინამო	8	5	0	3	13:6	15
ვიტ ჯორჯია	8	4	3	1	14:10	15
გორპელო	8	4	3	1	7:3	15
სიონი	8	3	2	3	8:7	11
ბათუმი	8	2	2	4	8:7	8
ლოკომოტივი	8	2	2	4	6:10	8
მერანი	8	2	2	4	6:13	8
ჩიხურა	8	1	3	4	4:12	6
ბორჯომი	8	1	2	5	10:18	5
დილა	8	0	2	6	4:22	2
ახეთი	8	0	1	7	7:24	1



გიორგი ცინაძე დავით ბოლქვაძის (№17) დარტყმულთან ვერას ვახდა



გადამხრებელი ფოტოები

გიორგი ახვლედიანი  
სვეტი

პარტოფილი

ახლა ურუგვაის ვეთამაშებით. ამხანაგურად, მაგრამ ამხანაგური თამაშები ჩვენთვის არ არსებობს.

უფრო სწორად, არ უნდა არსებობდეს.

ალარც არსებობს, მგონი, ვხედავთ.

მე რომ მკითხოთ, ახლა ჩვენთვის ამხანაგური თამაშაც არ ანაკლებ საინტერესოა, ვიდრე ოფიციალური.

საინტერესოა, თუ გამოჩნდებიან ნაკრებში ახალი ვინმეები და რას და როგორ იზამენ.

სავარაუდოა, რომ ურუგვაისთან ახალგაზრდულის ბიჭებს მოაზომებენ ეროვნულის ტანსაცმელს.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საქართველოს ჩემპიონატის ცნობილ ფეხბურთელებს კლაუს ტოპიოლერი არ გამოცდის. ის, უბრალოდ, არ ესწრება ამ ჩემპიონატს: ადრე ვიყავი რამდენიმე თამაშზე და სრული კატასტროფა იყო.

მგონი, წინა კვირასაც ამაზე ვწერდი, მაგრამ ნაკრების მწვრთნელის სქემა გასაგები ჩანს: ვინც სანაკრებოდ ვარგა, უცხოეთშია და შიგნით რაღაცების ჩხრეკას აზრი არა აქვს. მით უმეტეს, რომ პერსპექტიულები ყველანი ახალგაზრდულში გვყავს.

ქართველობა, რომელიც ამ აზრს ოდნავ, თუ თავიდან ბოლომდე, არ ეთანხმება, ამ დროს დასძახებს ხოლმე ერთ ნაცნობსა და კოლორიტულ სახელს, ვითარცა მტკიცებას იმისას, რომ ზოგჯერ ფეხბურთელი შეიძლება სრულიად უიმედო ადვილას იპოვოს.

ბოსკამპი!

მან ღუბლის ღუბლში იპოვა სულაც უწვერული ბიჭები: 5 კაცი დაუმკვიდრა საქართველოს ნაკრებს. ისეთ ფეხბურთელებში დაინახა ძალა, რომლებიც გასვლით თამაშებზე „პაპუტკებით“ დადიოდნენ...

ულენშპიგელივით კაცი იყო ის ჩვენი ბოსკამპი.

რა თქმა უნდა, ტოპის ისეთივე უპირატესობა აქვს მასთან, როგორც „მერსედესს“ „მოსკვირთან“, მაგრამ, მგონი, „მოსკვირსაც“ აქვს ხოლმე ერთადერთი უპირატესობა „მერსედესთან“.

შევიძლია, სალონში კარტოფილით საესე ტომრები ჩააწყო და მანქანა არ დაგენანება. მიიტან იმ კარტოფილს.

გასაგებია, რომ კარტოფილია, მაგრამ არ არის ისეთი კარტოფილი, რომ არ იჭმოდეს. რა ვიცი, რა ვიცი, მგონი, კარები იმიტომ არსებობს, რომ შეიჭვიტო მაინც.

ეს ისე, თორემ ჩვენ არ ვიცით ჩვენი თავის ამბავი?



ჩვენს გავმდიდრებით

მუთაისი. 14 ოქტომბერი. 16 საათი. ტორპედო. 2 000 (ტყვადობა 20 000)

ტორპედო 0:0 სიონი

ტორპედო: კოდლაძე, გამბარაძე, გოგია, ფარულავა, ზ. ჩხეტიანი, ლაღაძე (ჭეძია 55), გ. ჩხეტიანი, გურული, კრასოვსკი (მუშუდია 55), დოლონაძე, ნიქარიშვილი

სიონი: ბათიაშვილი, კობაური, ლ. ჭელიძე, ჭიჭეიშვილი, ა. ალაღიძე, კვიციანიშვილი, ბაჯელიძე, ზ. ჭელიძე (გ. უგრეხელიძე 22), შავგულიძე, ჩასეში, ბ. ცხადაძე (ქარაძე 75)

გაწმენილები: ზ. ჭელიძე (21), გურული (83)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე; ჯ. ბუიშვილი

დამკვირვებელი: ე. სილაგავა; დირექტორი: ს. კვარაცხელია

ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან

მატჩი ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო, რადგან ქუთაისურ რაგბის 40 წლისთავთან დაკავშირებით ვეტერანთა სარაგბო შეხვედრა იმართებოდა.

პირველ ტაიმში სახიფათო მომენტები ნაკლებად იყო და მათგან მხოლოდ ორზე შევაჩერებთ ყურადღებას: მე-17 წუთზე ზვიად ჩხეტიანის ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ გივი ჩხეტიანმა დაარტყა, მაგრამ მცირე მანძილით ააცილა



ალექსანდრე ლაღაძე და ერიკ რომეო ჩასეში

მიზანს; მე-40 წუთზე კი სტუმრებს შეეძლოთ დაწინაურება, ერიკ რომეო ჩასეში პირისპირ გადიოდა მეკარესთან, თუმცა დავით გამბარაძე შეეშინა და დაარტყმა არ მოხერხდა.

მეორე ნახევარი შედარებით საინტერესო გამოდგა და მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. ტაიმის დასაწყისშივე ალექსანდრე ლაღაძის კუთხურის შემდეგ გივი ჩხეტიანს შეეძლო თავით გატანა... მაღე იმავე ჩხეტიანის გადაცემით მანუჩარ წიქარიშვილს შეეძენა რეალური მომენტი, მეკარეც ჩამოიტოვა, მაგრამ ცარიელ კარს მახვილი კუთხიდან ააცილა.

მასპინძელთა იერიშებს შეცვლაზე შესულმა ვლადიმერ უგრეხელიძემ უპასუხა შორეული დარტყმით, თუმცა არაზუსტად.

78-ე წუთზე კი სტუმართა საჯარიმოში ზურაბ მუშუდიაჩას მიისურზე დაქარეს და წააქციეს, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა.

ხუთიოდ წუთში სტუმართა საჯარიმოში გიორგი გურული წაიქცა — არბიტრმა ამჯერადაც არ ჩასტვინა და ტორპედოელს სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი უჩვენა.

მაღევე ვლადიმერ უგრეხელიძის შორიდან გასროლილი ბესიკ კოდლაძემა გაჭირვებით მოიგერია.

დარჩენილი დრო მასპინძლებმა შეტევებში გაატარეს, თუმცა ვერაფერი იხიერეს.

პრესკონფერენცია

გიორგი ყიფშიძე: მატჩი სანახაობრივი გამოდგა, განსაკუთრებით მეორე ტაიმი. ორივე გუნდს ჰქონდა მომენტები. ვფიქრობ, ერთი გოლი გადაწყვეტდა ყველაფერს ამ შეხვედრაში.

იური კვერნაძე: აქცენტი შეტევაზე გავაკეთეთ. შედეგით და მსაჯობით უკმაყოფილი ვარ, ორი სადავო მომენტიდან ერთი პენალტი მაინც უნდა დაედო მსაჯს ჩვენ სასარგებლოდ, თუმცა არა უშავს, ჩვენც გავმდიდრდებით...

ჩაბიონატი 0:4 ოლიმპი. 0:1 მახვილაძე (9), 0:2 სირბილაძე (42), 0:3, 0:4 კვარაცხელია (79, 81). ჩაბიონატი: მ. ალაღიძე, კახელიშვილი (გ. კვარაცხელია 67), გ. ონიანი, სუბუა, მახვილაძე, რ. ონიანი, დვალისხვილი (გენაძე 62), აფციაური, სეთურიძე, ქებაძე (ხოჯავა 57), სირბილაძე. სათადარიგო: ნაჭყებია, გ. თოდუა, მიქიაშვილი, მიმინოშვილი. მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე.

ოლიმპი ისევ მურალია

ოთხი აბსესი საჩხერეიდან

ამ მატჩამდე რუსთავის „ოლიმპი“ 18 ბურთი გაეტანა, საკუთარ კარში კი არცერთი გაეშვა. ჰოდა, საინტერესო იყო, დაუმთავრდებოდა თუ არა მიხეილ ალაღიძის მშრალი სერია. მატჩის ინტრიგას ისიც მატებდა, სათასო შეხვედრაში ამ გუნდებმა რუსთავში ფრე ითამაშეს.

უნდა ითქვას, საჩხერეში პირველიდან ბოლო წუთამდე აშკარა უპირატესობას „ოლიმპი“ ფლობდა.

სტუმრებმა პირველი ბურთი მე-9 წუთზე გაიტანეს: კარიდან 20 მეტრში დანიშნული ჯარიმა საგოლედ მიხეილ მახვილაძემ დაარტყა.

რუსთაველებს მეტოქისთვის შეტევა არ დაუკლიათ. ზურაბ მამალაძის უხერხულად მოგერიებულ ბურთს გიორგი კახელიშვილი დაეუფლა, თუმც მისი დარტყმული ლეგან მერებაშვილმა მოიგერია. მაღევე იმავე კახელიშვილს ვლადიმერ დვალისხვილმა დაუცველ კართან მიაწოდა ბურთი და როგორ ააცილა, ძნელი სათქმელია.

საჩხერელებმა შექმნეს ხიფათისმაგვარი. შოთა ჩომახიძის ჩაწოდებულ ბურთს მიხეილ მესხმა წაჰკრა თავი, მაგრამ ბურთმა კარში შესვლა არ ინება.

ტაიმის მიწურულს „ოლიმპი“ მეორედ იხიერა. თორნიკე აფციაურის გადაცემას ტანმალალი ირაკლი სირბილაძის თავური მოჰყვა და 0:2

მეორე ტაიმშიც იგივე სცენარი იყო. ჯერ გელა ხუბუას დარტყმული ასცდა მიზანს, შემდეგ სირბილაძეს არ გაატანინა მამალაძემ.

ზემოიმერლებს ყველაზე რეალური შანსი 70-ე წუთზე მიეცათ, როცა მიხეილ კაკალაძემ ჩააწოდა და ელიშერ მარგალიტაძემ საჯარიმოს ხაზიდან ვარდნაში ღონივრად დაარტყა — ალაღიძემ შესაშური რეაქცია გამოავლინა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ამის შემდეგ საჩხერელებს სტუმრები აღარ შეუწუხებიათ...

„ოლიმპი“ კი, პირიქით: შეცვლაზე შესულმა სამეულმა — ხოჯავა-გენაძე-კვარაცხელია — „ჩიხურას“ საჯარიმოში ცეცხლი დაანთო. მათ გათამაშებულ ლამაზ კომბინაციას ჯერ მესამე გოლი მოჰყვა, როცა ვახტანგ კვარაცხელიამ ბურთი ცხრანში ჩაჭყდა, ორ წუთში კი იმავე კვარაცხელიამ დუბლიც გაიფორმა.

პრესკონფერენცია

გიორგი კიკნაძე: ანგარიშის მიუხედავად, მაინც ვფიქრობ, რომ საჩხერეიდან ქულებს ადვილად ვერავინ წაიღებს. ამ მატჩისთვის ძალიან სერიოზულად მოვემზადეთ, დანარჩენი კი შედეგიდან ჩანს.

ვახტანგ თურმანიძე, „ჩიხურას“ მეორე მწვრთნელი: სათქმელი არც არაფერი გვაქვს. „ოლიმპი“ ყველა კომპონენტში დაგვეჯანა...

ბათუმმა მერანთან იმუჯირითა

ბათუმი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო. 100 (ტყვადობა 5 000)

ბათუმი 3:0 მერანი

ბ0, 2:0 მუჯირი (45, 68), 3:0 ფარტენაძე (76)

ბათუმი: თოთლაძე, ექონია, უ. ლობჯინიძე, გალოგრე, აბშილაძე, ოქრუაშვილი, ცანავა, ა. მუჯირი, კოსკაძე (ბეჟანიძე 77), გოგოლაძე (ჯინჭარაძე 64), რ. ჯიქია (ფარტენაძე 70)

მერანი: სეფიაშვილი, თურქია, გრიგალაშვილი, ჯანგიძე, სარალიძე, ოსიტაშვილი, (ზურცილაძე 71), ფურთუხია, ლ. კვარაცხელია (შველიძე 71), ბესარაშვილი, ლ. მანკაჯა (ბურჯანაძე 60), გაგუა

გაწმენილები: ჯანგიძე (8), გალოგრე (50), თურქია (60)

მსაჯები: ბესარაშვილი (44)

დამკვირვებელი: მ. მალაფერინი

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

მატჩი უხვევლიანი, მაგრამ მოსაწყენი გამოდგა — მოედანი სველი იყო და ფეხბურთელებს მოძრაობა უჭირდათ. შეხვედრას არც მაყურებლებში გამოუწვევია დიდი ინტერესი — ტრიბუნები თითქმის ცარიელი იყო.

თამაში მასპინძლების უპირატესობით კი დაიწყო, მაგრამ მომენტები არ იქნებოდა. ბათუმელებიც უტყვევდნენ და „მერანი“ ცდილობდა კონტრშეტევას, თუმცა დამაკვირვებელ ფაზაში ვეღარ ვარგოდნენ და მეკარეებსაც საქმე არ მისცემიათ.

ტაიმის ბოლოს მასპინძლები უფრო გააზრებულად ათამაშდნენ, სტუმრებმა კი უხეშობას უმატეს და... 44-ე წუთზე მიხეილ ბესარაშვილმა ყვითელი ბარათი დაიმსახურა, მაგრამ რატომღაც მსაჯს არ დაეთანხმა, ნერვები ვერ მოთოკა და უწმაწური სიტყვებიც არ დაიშურა, რის გამოც ალექსანდრე კრიჭაშვილმა მოედნიდან გააძევა.

სულ რაღაც წუთში ამირან გოგიტიძის შევირდებმა რიცხობრივი უპირატესობა გოლად აქციეს. მრავალსკლიანი კომბინაცია ამირან მუჯირმა დააკვირვინა — 1:0.

მერანელებმა ცენტრიდან გაათამაშეს ბურთი და... გოლიც გაიტანეს, მაგრამ თამაშგარედან და გოლიც, რა თქმა უნდა, გაუქმდა. 68-ე წუთზე რევაზ ჯიქიამ პირისპირ გაიყვანა მუჯირი, რომელმაც მეკარე იოლად მოატყუა და დუბლი შეასრულა.

მატჩში ყველაზე მეტად სწორედ ვეტერანი მუჯირი გამოირჩეოდა — მთელი 90 წუთი თავდაუზოგავად იბრძოლა, შეტევებსაც ის იწყებდა და ორი გოლით ხომ გამოირჩა, თანაგუნდელებსაც ბევრჯერ შეუქმნა ხელსაყრელი მომენტი...

თუმც მესამე გოლი მუჯირის გარეშე გავიდა — მერანელთა საჯარიმოში არეულობის შედეგად აბშილაძე პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ ბურთი პირდაპირ მას მოარტყა. ასხლეტილი ბურთი კი შეცვლაზე შესულ ფარტენაძეს მიუვიდა და — 3:0.



# გინება და აბრეხია

## რატომ ვერ დარჩა ვიტ ჯორჯია მოგზაული



პაატა დათუნაიშვილი (მარჯვნივ) ბორჯომელ მკურნალებს გინებაში აყვავდა და...

ბორჯომი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. ჯამბა ზინაიშვილი. 200 (ტყვადობა 5 000)

### ბორჯომი 2:2 ვიტ ჯორჯია

0:1 მელქაძე (2), 1:1 კვიციანი (32), 1:2 გელაშვილი (34), 2:2 ნევი (86)	
<p><b>ბორჯომი:</b> შეყრილაძე, თედიაშვილი, ნაკანი (კვიციანი 20), ავალიანი, დ. ნადირაშვილი (ლომიძე 74), ორმოცაძე, ბაქაძე, ქარქოზაშვილი, ბენდელიანი, ნევი, მონგი (გოგიჩაიშვილი 81) სათადარიგონი: ლაბაძე, ლაზარაშვილი, ტალახაძე</p> <p><b>მწვრთნელი:</b> ვლადიმერ ხაჩიძე</p>	<p><b>ვიტ ჯორჯია:</b> ბეგიაშვილი, ბ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომია, გველესიანი, დილმელაშვილი, კვლინიძე, ფეიქრიშვილი (გ. დათუნაიშვილი 52), სახოკია (ლ. რაზმაძე 78), გელაშვილი, გ. მელქაძე (ჯაფარიძე 72) სათადარიგონი: ლურბელიშვილი, კობიაშვილი, ლუჭაშვილი, ბერიაშვილი</p> <p><b>მწვრთნელი:</b> ნესტორ მუმლაძე</p>
<b>გაწვრთნის მენეჯერი:</b> თედიაშვილი (70), ლომია (87)	
<b>ბაძეშვიდი:</b> ბ. დათუნაიშვილი (69)	
<b>მსაჯენი:</b> მ. ბეჟუღიშვილი; ზ. ჯვარიძე, ხ. გაგინიძე, ო. ხეცაძე	
<b>დამაპირებელი:</b> მ. ქელიძე	

**დავით თავართქილაძე ბორჯომიდან**

**ცუდია,** როცა გულშემატკივარი ფეხბურთელს აგინებს და კიდევ უფრო ცუდია, როცა ფეხბურთელი გულშემატკივარს აგინებს. ასეთ შემთხვევაში წაგებული უფრო ფეხბურთელი და მისი გუნდი რჩება

და ასე დაემართა პაატა დათუნაიშვილს და „ვიტ ჯორჯიას“.

დათუნაიშვილს ბორჯომელმა მკურნალებმა შეაგინა და ვიტჯორჯიელმა ნერვები ვეღარ მოთოკა, მონდის და ტრიბუნის გამყოფ მეთულდობებს მიუახლოვდა და იქიდან გასცა პასუხი მაგინებელს. სიტუა-

ცია დაიძაბა, მაგრამ პოლიციამ იმარჯვა და მკურნალების მოედანზე შესვლა არ დაუშვა. ამ ინციდენტის გამო შეხვედრა დაახლოებით ხუთი წუთით შეწყდა. არბიტრმა ამ ყველაფრის გამო გააძევა დათუნაიშვილი.

კაცნაკლებობამ „ვიტ ჯორჯია“ მნიშვნელოვნად დაასუსტა, „ბორჯომს“ კი ფინი მოუმატა და მასპინძლებმა ანგარიშიც გაათანაბრეს — გიორგი ბენდელიანის ფლანგურ ჩაწოდებულზე კაპერუნელმა ფორვარდმა ოლივერ ნეკმა კარგად შეარჩია პოზიცია და ძალიან ოსტატურად გადაგზავნა ბურთი გრიგოლ ბეღიაშვილის კარში.

...შეხვედრა „ვიტ ჯორჯიას“ უპირატესობით დაიწყო და სტუმართა ჯიქურ იერიშებს სწრაფი გოლი მოჰყვა — გიორგი მელქაძემ თავურით დააწინაურა ვიტელები.

„ვიტ ჯორჯია“ ისევ უტევედა, ბურთს აკონტროლებდა და უპირატესობის გაზრდის არცთუ ურიგო შანსი ჰქონდა — ნიკა გელაშვილის თავური ბეჭა შეყრილაძემ კუთხურზე მოიგერია.

ამ ეპიზოდის შემდეგ ვითარება მოედანზე დიდად არ შეცვლილა, თუმცა „ვიტ ჯორჯია“ ოდნავ მიეშვა და დაცვაში ერთი ჩათვლემა ძვირად დაუჯდა — ირაკლი კინაძემ მკერდით გაისწორა ბურთი, მცველისგან გათავისუფლდა და კარიდან გამოსულ ბეღიაშვილსაც აჯობა — 1:1.

ამით განსაზღვრული ვიტელები ერთხელაც აენთნენ, მძლავრად შეუტყეს და თუ პირველ ჯერზე გელაშვილს შეყრილაძემ აულო, მეორედ ვიტელთა ცენტრფორვარდის თავური საგოლე გამოდგა — გელაშვილმა მელქაძის პასით გაიტანა.

ტაიმის მიწურულს ვიტელებს კიდევ უნდა გაეტანათ, მაგრამ „ბორჯომი“ კვლავ შეყრილაძემ იხსნა, რომელმაც ზაზა სახოკიას დარტყმა უკუაგლო.

მეორე ტაიმში დათუნაიშვილის გაძევებამდე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, „ბორჯომს“ არ ეძინოდა ის იშტა და ძალა, რითაც თამაშს შემობრუნებდა, მაგრამ თავში ნახსენებმა ინციდენტმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ბორი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. თინათინა გურჯაანაძე. 60 (ტყვადობა 8 230)

### დილა 0:4 ზესბაფონი

0:1 ლიფია (55), 0:2 იონანიძე (70), 0:3 ფიფია (72), 0:4 იონანიძე (79)	
<p><b>დილა:</b> კვიციანიშვილი, ბალიაშვილი, ლომიძე, კობახიძე, ოლგესაშვილი (აბრამიშვილი 46), მინარიშვილი (ვარდოსანიძე 77), ტლაშაძე, ნ. ნოზაძე, ვაჩიშვილი, სავარდულიძე (სადალაშვილი 46), გ. წინამძღვრიშვილი</p> <p><b>მწვრთნელი:</b> რევაზ მამესწარაშვილი</p>	<p><b>ზესბაფონი:</b> გ. ჭანტურია, გ. საჯია, ს. თოდუა, შ. ლონდაძე, კ. ჩხეტიანი, ნ. კვასხაძე (ფიფია 46), ბ. ნოზაძე, განუგრავა, გ. ქელიძე (ბ. გოცირიძე 73), იონანიძე, იმედაძე (გ. თურმანიძე 67)</p> <p><b>მწვრთნელი:</b> თემურ მახარაძე</p>
<b>გაწვრთნის მენეჯერი:</b> აბრამიშვილი (47), ვაჩიშვილი (52), საჯია (57), თოდუა (63), აბრამიშვილი (65), გ. ქელიძე (69)	
<b>ბაძეშვიდი:</b> აბრამიშვილი (65)	
<b>მსაჯენი:</b> ლ. კვარაცხელია; ზ. ფიფია, ზ. ერქვანიანი; ა. ნინიკაშვილი	
<b>დამაპირებელი:</b> ს. კოტიკაძე	

## დილა დუბლებით გაგორდა

ტარიელ შოთინაშვილი გორიდან

**წვიმის** მიუხედავად მატჩი საკმაოდ სწრაფ ტემპში ჩატარდა.

პირველი 15 წუთი თანაბარ ბრძოლაში გაივლია, შემდეგ კი სტუმართა უპირატესობა გამოიკვეთა და მასპინძელთა კართან სახიფათო მომენტებმაც იმრავლა.

მე-19 წუთზე კახა ჩხეტიანიმა მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა „დილას“ საჯარიმოში, სადაც გრიგოლ იმედაძემ იმარჯვა, მაგრამ თავური ძელს მოხვდა. წუთში კვლავ იმედაძემ დაარტყა ძლიერად, მაგრამ არახუსტადა.

27-ე წუთზე სტუმრებს ისევ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როცა იმავე ჩხეტიანის საჯარიმო დარტყმის შემდეგ შალვა ლონდაძემ ოდნავ ააცილა მიზანი. ორიოდ წუთში კი გიორგი განუგრავას ძლიერი დარტყმა „დილას“ ერთ-ერთ მცველს მოხვდა და ოდნავ ასცდა კარს.

ტაიმის ბოლოს „ხესტაფონის“ უპირატესობა აშკარა გახდა. ბოლო წუთზე ლონდაძემ საჯარიმოში ჩაუწოდა იმედაძეს, რომელმაც ისევ დაასწრო მცველებს და... ისევ ძელი.

რაც სტუმრებმა ვერ შეძლეს პირველ ტაიმში, სრულად აინახლურეს შესვენების შემდეგ. მასპინძლებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს სტუმრებს, რომლებმაც აშკარად დაჩაგრეს მეტოქე და შედეგმაც არ დააყოვნა.

55-ე წუთზე გოგი ფიფია მიუახლოვდა მასპინძელთა კარს, მცველი მოატყუა და მეკარისგან ახლო კუთხეში ზუსტად დაარტყა — 0:1. ათ წუთში ზურაბ იონანიძეს შეეძლო გატანა — „დილას“ საჯარიმოში რამდენიმე მცველი და მეკარე მოატყუა, მაგრამ დარტყმულს ვაჩიშვილი გადაეღობა და ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

65-ე წუთიდან „დილა“ ათი მთამაშით დარჩა მინდორზე — აბრამიშვილმა უხეში თამაშისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო...

70-ე წუთზე გიორგი ქელიძის წაქცევისას დანიშნული პენალტით იონანიძე იხვირა — 0:2.

სტუმრები კვლავ უტევედნენ და ორ წუთში ისევ ფიფია გამოირჩა სოლო-გრძევის შემდეგ.

79-ე წუთზე კი იონანიძის ჯერიც დადგა — 0:4.


### პრესკონფერენცია

**თემურ მახარაძე:** პირველ ნახევარში მომენტები ვერ გამოვიყენეთ, მერე კი თამაში დაველაგეთ და დამსახურებული გამარჯვებაც მოვიპოვეთ, შედეგით კმაყოფილი ვარ.

**რევაზ მამესწარაშვილი:** ვულოცავ სტუმრებს გამარჯვებას. ჩვენ რაც შეგვეხება, თუ მოგვხვდეს და დაგვეხმარნენ, რასაც სულ გვპირდებიან, ამ ბიჭებით გუნდის გაკეთება შეუძლებელია, თუ არა და, ალბათ, ესენიც წავლენ...

# მილჩენკოს არჩევანი

## სასტუმარის უამრავ ტრანსფერები



**ვივას** ყოფილი არბიტრი ფიფას ლიცენზირებული აგენტი ხდება — სადაცაა, საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი მსაჯი ანატოლი მილჩენკო აგენტის ლიცენზიას აიღებს.

მილჩენკომ წარმატებით გაიარა აგენტისთვის აუცილებელი ტესტები და გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ ლიცენზიასაც მიიღებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრეზიდენტად ნოდარ ახალკაცის მისვლამდე მილჩენკო მსაჯთა და ინსპექტორთა კომიტეტს ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი „ვიტ ჯორჯიაში“ დაიწყო მუშაობა და გუნდს წლეულს სეზონისწინა უკრაინული შეკრების მოწყობაში დაეხმარა. მილჩენკო ახლაც „ვიტ ჯორჯიაში“ მუშაობს.

აგენტის ლიცენზიის ადების შემდეგ მილჩენკო, სავარაუდოდ, უფრო უკრაინულ და რუსულ სატრანსფერო ბაზრებზე იმუშავებს.

დავით თავართქილაძე



დავით თავართქილაძე



# ჰკრა იაშკამ

## მეკარები ვაკეში უნდა განასათ...



მურამ დოღანაძე/სპორტული ფოტო

### ილია ნანოგაფილი

**წვიმა-ტალახი** და მოშიშვლებული ტრიბუნები, მაგრამ ამას უკვე მივაჩვეით თვალი — საქართველოს ჩემპიონატის რაგინდარა მატჩზე 1000 გულშემატკივრის მოსვლა ხომ სანატრელია. სამაგიეროდ, თამაშმა გაამართლა. მომენტებში ისეთი ლაღი და ხარისხიანი ბურთაობა იყო, თქვენი მოწონებულები.

დავით გვარამაძე და სოსო გრიშკაშვილი — ორი ვეტერანი მეკარე, რომელთა სანაკრებო შანსებმა კარგა ხნის წინ ჩაიარა, მაგრამ გუშინ ორივენი ისე იდგნენ, კი გავიფიქრეთ, რა მოხდებოდა, რომელიმე მათგანი განვლილ სანაკრებო მატჩებში მდგარიყო.

### ტჩებში მდგარიყო.

დუშან უპრიჩიჩა ძირითადად დააყენა შოთა ბაბუნაშვილი და ლაშა ნოზაძე, რომლებმაც „დინამოს“ მთავარ გუნდში ბოლოს როლის ითამაშეს, მგონი, თავადაც არ ახსოვთ. დინამოელებმა აქტიურად დაიწყეს და ბაბუნაშვილმა ოდნავ ააცილა, მერე ლოკომოტიველმა გიორგი ჩივაძემ უპასუხა შორეული გასროლით. მომენტები უხვად იქმნებოდა — უპრიჩიჩის ბიჭები ნახევარდაცვაში უფრო მობილურები იყვნენ, განსაკუთრებით კი გიორგი მერუაშვილი გამოირჩეოდა.

და მაინც, ტაიმის ბოლოს რკინიგზელებმა ორჯერ უჩხვლიტეს. ჯერ ვლადიმერ გოჩაშვილს აუღო გრიშკაშვილმა, მერე კი კონსტანტინე

თბილისი. 14 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მისხი. 500 (ტევადობა 25 600)

## დინამო 1:0 ლოკომოტივი

1:0 იაშვილი (78)	
<b>დინამო:</b> გრიშკაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია, გიგაური, ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე, გ. მერუაშვილი (ხუციშვილი 89), ბაბუნაშვილი (ზ. ჯანაშია 46), ს. კობახიძე, ს. იაშვილი, ბობოხიძე (ჯ. დვალის 63) <b>სათადარიგო:</b> ლორია, აკობია, გ. თომაშვილი, ჩირიკაშვილი <b>მწვრთნელი:</b> დუშან უპრიჩიჩი	<b>ლოკომოტივი:</b> გვარამაძე, თუთბერიძე, ებრაელიძე, გ. კვახაძე, კუპრეიშვილი (ხუციშვილი 46), გულორდავა, მიხაილიძე, დ. ფოფხაძე, ჩივაძე (მ. ფლენტი 65), ცხომარია (კ. ავალიანი 23), ვ. გოჩაშვილი <b>სათადარიგო:</b> მიგინიშვილი; ბახტაძე, ბუღაძეშვილი, ალავერდაშვილი <b>მწვრთნელი:</b> ამირან მინაშვილი
<b>გაზრთხილებ:</b> გოჩაშვილი (44), თუთბერიძე (69)	
<b>მსაჯეები:</b> მ. მაისურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი; დ. სანაია	
<b>დამაკვირვებელი:</b> ნ. კაკულია	

ავალიანის ჩაწოდებული კინაღამ კარში ჩაეშვა...

შესვენების შემდეგ დინამოელებმა უფრო „დაჭიმეს მშვილდი“, მიზანიც გაისწორეს და გვარამაძის საუკეთესო წლები გაგვახსენეს: „კოშკამ“ ათი ხელი გამოიბა, სამწუთიან მონაკვეთში ჯერ სანდრო იაშვილს, მერე კი გურამ კაშიას სასწაული ბურთები გამოუძრო — როგორია, 5-6 მეტრიდან თავურების მოგერიება...

იქვე „ლოკომოტივს“ შეეძლო დაწინაურება, როცა დაჩი ფოფხაძის დაკარგული პასის შემდეგ გოჩაშვილი პირისპირ რჩებოდა, მაგრამ შეეყოვნა, შორიდან დარტყმასლა გამორჩა და გრიშკაშვილმა კუთხურზე მოიგვრია ბურთი.

და ისევ სანდრო იაშვილი „დინამოს“ მხსნელად: 78-ე წუთზე „იაშკამ“ ნაკუთხურად ბურთს თავი ჰკრა და 1:0 — ბედის ირონიაც ესაა, ამ მომენტში სწორედ რომ გვარამაძემ დაუშვა შეცდომა: გამოსვლაზე ცუდად ითამაშა და იაშვილმა უმეკარეო კარში გაიტანა.

წუთში ჯაბა დვალს სამი-ოთხი მეტრიდან გაუცუღდა დარტყმა, მერე თითქოს „ლოკომოტივიც“ შეეგუა წაგებას, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით — თამაშის მიწურულს აქეთ-იქით შეტევებმა იმატა. „დინამოს“ დაცვა ხელოვნური თამაშგარის შექმნისას შეცდა, რკინიგზელი მიხეილ ფლენტი პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი ოდნავ წინ გაიგლო და გრიშკაშვილიც დროულად

ჩაუხტა ფეხებში.

90-ე წუთზე კი გრიშკაშვილმა ნოდარ ებრაელიძის შორიდან გასროლილზე პანტერასავით ნახტომი გაჭიმა და უეჭველი გოლისგან იხსნა თავისიანები. „დინამო“ ბეწვზე გადარჩა!

და, როცა უკვე მსაჯი ბოლო წამებს ითვლიდა, დვალის პირისპირ დარჩა გვარამაძესთან, მას ებრაელი ხელით იჭერდა, მაგრამ ჯაბამ დარტყმა მოასწრო და ძელი აახმაურა...

### პრესკონფერენცია

**ამირან მინაშვილი:** გუნდში მიკროტრავმები და ამის გამო პირველ ტაიმში იბულებითი შეცდვების გაკეთებამ მომიწია, რამაც ტაქტიკური სქემის გადაწყობა გამოიწვია. სადღაც 25-ე წუთიდან ნახევარდაცვის თამაში მოიშალა, ხშირად იკარგებოდა ბურთი, ბევრი მომენტი იქმნებოდა კუთხურებისას. ბოლოს ჩვენც გვექონდა გატანის შანსი და დასანანია, რომ მარცხი ვერ ავიცილეთ თავიდან.

**დუშან უპრიჩიჩი:** უძნელესი თამაში იყო. ამბროზიო და ლევან ხმალაძე გვაკლდნენ, რამაც გარკვეულწილად იმოქმედა გუნდზე. მომენტები საკმაოდ შევქმენით და გოლი რომ ვერ გაგვექონდა, ბიჭებმა ნერვიულობა დაიწყეს. ბოლოს კი გრიშკაშვილმა ნაღდად გადაგვარჩინა. მთლიანობაში ფეხბურთელებმა ბევრი იბრძოლეს და მათ ამისთვის მადლობას ვუხდით.



ალექსანდრე იაშვილი

## კახა კალაძის საპაადლოგები

**საპაადლოგებიც** ასეთი უნდა: „მილანის“ ფან-კლუბთა ასოციაციამ 2005-06 წლების სეზონის კლუბის საუკეთესო ფეხბურთელად კახა კალაძე დაასახელა და საქართველოს ნაკრების კაპიტანმაც „სამპდორიასთან“ გატანილი გოლით გადაუხადა მადლობა „მილანის“ ფანებს. კახამ 76-ე წუთზე შეცვალა მარეკ იანკულოვსკი და ამ მცირე დროში გამოანაბრებელი გოლი ხომ შეაგლო (მატჩი 1:1 დასრულდა), დარჩენილ წუთებში კიდევ ორი საგოლე მომენტიც შეექმნა...

ინგლისურ პრემიერლიგაში საჭირო ქულა აიღო „ბლექბერნს“ და ეს ზურაბ ხიზანიშვილის დამსახურებაცაა, რომელმაც, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ჩაათამაშა 90 წუთი „ლივერპულთან“ „ენფილდ როუდზე“ — „ხიზანას“ გუნდი 1:1-ს გამოჩნდა. ისიც ვთქვათ, რომ ჩვენინანმა ერთ მომენტში ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

სამწუხაროდ, შოთა არველაძეს სანაკრებო მატჩებისას მიუსწრო ტრავმამ, თორემ გუშინწინ კი ითამაშა „ალკმარის“ მაისური: ქართველი ძირითადად იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს „ალკმარის“ კი სტუმრად 2:0 იმარჯვა როტერდამის „სპარტასთან“.

გერმანულ ბუნდესლიგაში მძიმე გავსვლითი მოგება მიითვალეს ლევან კობიაშვილმა და „შალკემ“ — 2:1 „ჰამბურგთან“. კობიმ სრულად ითამაშა და ყვეთელი ბარათიც მიიღო.

მეორე ბუნდესლიგაში კი პირველი საამსეზონო გოლი გაიტანა ალექსანდრე იაშვილმა — „ფრაიბურგი“ სტუმრად „დუისბურგს“ დაუზავდა (1:1).

ილია ნანოგაფილი



შაბათს ვაკეში მეკარეების თამაში იყო

მურამ დოღანაძე/სპორტული ფოტო

# სუპერლიგა და სუპერდანყება ახორციელების გუნდია



მურმან მურმანი

„ავიატორი“ ირაკლი ბერიშვილი გიორგი გულისაბედაშვილს გაურბის

14 ოქტომბერი  
**მაკაბი 105:91 სტუ**  
 27:26 26:31 23:20 29:14  
**მაკაბი:** დოლიძე (16), მაისურაძე (7), კორკოტაძე (29), ს. შერმადინი (2), გ. შერმადინი (44); ცერცვაძე (4), ენუქიძე (3), ნინუა, კორძაძე  
**სტუ:** კობრიძე (11), ბაბუნაშვილი (15), ბერაია (9), დევიძე (8), ახალციცი (12); ბარბაქაძე (20), სეფიკვერაძე (9), ემგვერაძე (3), ფოლადაშვილი (4), ტუხაშვილი  
**მსაჯეები:** დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა  
**კომისარი:** როლანდ გელოვანი  
**ავიაგუნდი 100:81 დინამო**  
 18:25 30:19 22:21 30:16  
**ავიაგუნდი:** დ. ბერიშვილი (15), ხოშტარია (6), კვიციანი (16), ბაბიაშვილი (26), ნინაშვილი (2); ი. ბერიშვილი (18), როდუტა (14), ნიკოლაძე (3)  
**დინამო:** გულისაბედაშვილი (10), ბადრიძე (17), ლაფანაშვილი (9), გვირაძე (15), კოლაშვილი (17); ბეჭაური (5), სიგუა, მურჯინიანი (4), ნოზაძე (4)  
**მსაჯეები:** ზაზა მაჩაბაძე, მალხაზ ანდლუღაძე  
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი  
**თსუ 76:83 ახორცი-ინტერპი**  
**ინვესტი**  
 16:21 26:15 11:21 23:26  
**თსუ:** არწივიძე (11), ბ. ბერიშვილი (15), ლევაია (16), მ. ბერიშვილი (5), მათიაშვილი (13); იმნაძე (7), ფანჭულიძე (7), შანიძე (2), ვეფხვაძე  
**ახორცი:** გამყრელიძე (9), ტულუში (14), ბოისა (12), ბეგანიშვილი (6), უგრეხელიძე (13); მარკოშვილი (15), ტუჯანი (8), დიდა (6), გოგობერიშვილი  
**მსაჯეები:** მაკა კუბაბაძე, დავით არეშიძე  
**კომისარი:** მურმან ქურდიძე  
 ესეც ჩვენი ეროვნული სუპერლიგა: ეროვნული ჩემპიონატის გახსნას აძღვნი მასურებელი, ალბათ, არასდროს დასწრებია. ზუსტი სტატისტიკა უცნობია, მაგრამ ელემენტარული ლოგიკა — გუნდის სპორტის სასახლეში იმდენი ქომაგი მოვიდა, ვერის ბაღის დარბაზი, ალბათ, ვერაფრით დაიტევდა. პოდა, აქედან გამომდინარე, ამ ჩემპიონატის გახსნას ყველაზე მეტი გულშემატკივარი დასწრებია, რაკი აქამდე ჩვენი შიდაჩემპიონატის გახსნას ვერის ბაღი მასპინძლობდა. აქამდე ეროვნულ პირველობის გა-

ხსნის ცერემონიალი, ძირითადად, დროშის აღმართით შემოიფარგლებოდა, ახლა კი პიში ცოცხლად შესრულდა — თანაც საესტრადო მომღერლის მიერ. მომღერლები, მოცეკვავეები და სხვა სახის გამართობები გუნდის სპორტის სასახლეში ბლომად შეგროვდნენ. ეს ყველაფერი კალათბურთისთვის კეთდებოდა და თუ გუნდის ტრიბუნებით განვსაზღვრავთ, ჩვენს მეჩხერ ეროვნულს მაცქერალი არ უნდა მოაკლდეს.  
 თუმცა ერთიკა: გუნდის თამაშზე დასწრება უფასო იყო და კიდევ ორი ტური ასე იქნება, მერე კი... თუ მერეც არ შეთხელდა მაყურებელთა რაოდენობა, იცოცხლეთ, კარგი ჩემპიონატი გამოგვკვა.  
 მოგეხსენებათ, სუპერლიგაში 6 გუნდი თამაშობს — სსუ-მ და „ქუთაისმა“ სუპერლიგის ფინანსური მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილეს. პოდა, თამაშების რაოდენობაც შემცირდა — ყოველ ტურში სამი მატჩი გაიმართება.  
 გუმინდელი ცენტრალური შესვედრა თსუ — „აზოტი“ გახლდათ. მანამდე კი შედარებით დაბალხარისხიანი მატჩები გაიმართა და ჩვენც მათზე ორი სიტყვით შეგვჩერდები. „მაკაბისა“ და სტუ-ს დაპირისპირებაში საინტერესო ამბავი მოხდა. ზოგადად, 44 ქულა ვი-უშელებელი არ გახლავთ, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატისთვის ასეთი შედეგი დიდი იმეათობაა. მაკაბელმა გიორგი შერმადინმა ლამის მარტომ მოუკო ტექნიკოსებს — მის ანგარიშზე 44 ქულასთან ერთად, 18 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა.  
 სტუ წლეულს ისე დასუსტდა, პლეი ოფში გასვლას ვინ ჩივის, ამ გუნდისთვის კინკლა გამარჯვების მოპოვებაც კარგი შედეგი იქნება. ტექნიკოსები გუნდის შედარებით ტოლძალთან „მაკაბის“ ხვდებოდნენ და განსაკუთრებულად მოინდომეს. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის შევირდებმა პირველი ტაიმი 57:53 მოუგეს მაკაბელებს, გადამწყვეტი მე-

ოთხედის წინაც ლიდერობდნენ, მაგრამ ბოლოს შერმადინს ვერაფერი მოუხერხეს და 14 ქულით წააგეს.  
 დამარცხდა წინასწარ განწირული „დინამოც“, მაგრამ მანაც არაფერი დაუთმო მძლავრ მეტოქეს და სანამ ძალა შესწევდა, „ავიატორს“ კუდიდან აო მოშორებია. საბოლოოდ ძალამ აღმართი მაინც ახნა და ლევან მოსეშვილის გუნდმა დაგეგმილი გამარჯვება მიითვალა, რაც, ძირითადად, ზვიად ბაბიაშვილის დამსახურებაა.  
 თუკი ნახსენებ მატჩებში მასურებელმა ცოტა მოიწყინა, ტურის ცენტრალური მატჩი ისეთი დამაბული გამოდგა, გაცემული ავანსები გაამართლა. ერთმანეთს ახლახან ღულე დადიანის ნახევარფინალში გადაყრილი გუნდები შეხვდნენ — „აზოტი“ და თსუ. დადიანის მემორიალის მატჩი ტყუილად არ გაგვხსენებია: ეს შეხვედრა იმ ნახევარფინალის ასლივით იყო. ზუსტად იმავე სცენარით წარმართა და კვლავ რუსთაველთა გამარჯვებით დასრულდა.  
 თითქოს მთელი თამაში თანაბარი ბრძოლა იყო და ფინალსაც საინტერესოს გვიქადა, მაგრამ, წინ მატჩის მსგავსად, ბოლო წუთები ახლაც ქვემოქართვლეთა სრული უპირატესობით წარმართა და...  
 „კმაყოფილი ვიქნები, ყველა მატჩში თანაბარი ბრძოლა რომ იყოს, თუნდაც ვაგებდეთ კიდევ, ოღონდ ბოლო წუთებზე ასე სტაბილურად ვითამაშოთ“ — თქვა ნამატჩევს რუსთაველთა თავაკაცმა დავით უსტაშვილმა.  
 რუსთაველებმა მატჩის ბოლოს მართლაც შთამბეჭდავად ითამაშეს, არადა, მანამდე ისეთი ვითარება იყო, თსუ-ს რომ მოეგო, არავის გაუკვირდებოდა. ერთ-ერთ ეპიზოდში სტუდენტებმა სულაც ელემენტარული მოუწყვეს ქვემოქართვლებს — პირველი ტაიმის შუაწელში თსუ-ელები 28:35 ჩამორჩნენ, თუმცა დიდ შესვენებამდე დარჩენილ დროში 14:1 გაილაღეს და ტაიმი 42:36 მოიგეს.  
 ამ ეპიზოდში თავი ბესიკ ლუჭავამ იხსებლა, რომლის შეჩერება მომენტებში შეუძლებელი იყო რუსთაველთათვის. თსუ-ელთა გალაღებაში თავისი სიტყვა თქვა ახალგაზრდა რჩარდ მათიაშვილმა, რომელმაც დავით უგრეხელიძის არყოფნაში „აზოტის“ ფარქვეშ ფრთები გაშალა.  
 უგრეხელიძემ მეორე მეოთხედშივე მიიღო ოთხი პერსონალური და უსტაშვილმა ის მოედანს განარიდა, თუმცა, როცა მათიაშვილმა ფარი დაიჭრა, „უგრეს“ დახმარება კვლავ დასჭირდათ რუსთაველებს. პოდა, გავარდნის ზღვარზე მყოფი უგრეხელიძე მეორე ტაიმში დააბრუნეს მოედანზე, რომელიც ისე აკურატულად ირჯებოდა, თამაშის ბოლომდე საქმეში იყო. მისი და გიორგი მარკოშვილის ძალისხმევით „აზოტმა“ შესაძლოა მეოთხედში ლიდერობა დაიბრუნა, ხოლო მეოთხედში, როგორც ვთქვით, თსუ-ს საქმე მოუთავა.  
 თამაშების ბოლოს ტურის საუკეთესო მოთამაშე ჟურნალისტებმა გამოავლინეს. მარკოშვილმა 15 ქულა ჩაავლო მხოლოდ, თუმცა უმეტესობა გადამწყვეტ მომენტში და მედიელებმაც ამიტომ გამოარჩიეს.



ნინო ხურციძემ სომხებს ოქრო მოაგვბინა

## ქართული პერსესლი

